



მოხსენება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლების შესრულება.....	7
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება	7
3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები	8
3.1 გადასახადები	9
3.2 სხვა შემოსავლები	10
3.2.1 დივიდენდები	11
4. არაფინანსური აქტივების კლება	13
5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	15
5.1 ხარჯები	17
5.1.1 შრომის ანაზღაურება	20
5.2 არაფინანსური აქტივების ზრდა.....	21
6. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია	23
7. ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი.....	25

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები

მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 135-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები

მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში; ბ) მხარჯავი დაწესებულებების მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.

რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.

ზოგადი შეფასება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული საკითხების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშში მომზადებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობები – 326,474.0 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები 328,474.0 ათასი ლარით განისაზღვრა. 2021 წლის ივნისში, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 20.4%-ით გაიზარდა და 392,937.2 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო გადასახდელებისა – 26.1%-ით და 414,221.9 ათასი ლარი შეადგინა.

2021 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებული შემოსულობების მოცულობამ 307,361.8 ათასი ლარი (წლიური გეგმის 78.2%) შეადგინა და 21.8%-ით ჩამორჩა გეგმურ მაჩვენებელს, ხოლო რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 328,308.3 ათას ლარს გაუტოლდა (წლიური გეგმის 79.3%) და 20.7%-ით ჩამორჩა გეგმას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში წარმოდგენილია შემდეგი მნიშვნელოვანი სისტემური ხასიათის საკითხები, კერძოდ:

- 1) რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრული შემოსულობების გეგმური მაჩვენებლები შესრულებულია 94.1%-ით, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებლები – 78.2%-ით, რაც რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივი მონაცემების საფუძვლიანი ანალიზისა და არსებული გამოწვევების სათანადო შეფასების გარეშე განსაზღვრაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური მოსალოდნელ რისკებზე მიუთითებდა 2021 წლის ბიუჯეტის პროექტზე წარდგენილ დასკვნაში, თუმცა რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია საფუძვლიანად გაანალიზდეს გასულ წლებში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივად მიღებული თანხები და სისტემურობისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, განისაზღვროს დასაგეგმი წლის საბიუჯეტო პარამეტრები.
- 1) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 31 საწარმოდან, 2021 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს. აღნიშნული საწარმოები, წინა წლებშიც, დივიდენდის საბიუჯეტო გეგმის შესრულებაში ძირითად როლს ასრულებდნენ. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, სათანადოდ არ ხდება საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებების განხილვა-შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, ბიზნესგეგმების დამტკიცება და ა.შ., რაც მნიშვნელოვნად

განაპირობებს საწარმოების არაეფექტიან მენეჯმენტს და, შესაბამისად, უარყოფით ფინანსურ შედეგებს.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, კონტროლის განმახორციელებელი სამინისტროების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე, გამოკვლეულ იქნეს მიზეზები და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის, შემოსავლების ახალი წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე მიზანშეწონილია, მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს სამოქმედო გეგმა არამომგებიანი საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით.

2021 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობამ 328,308.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 79.3%-ია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში მუდმივად აღინიშნება ფისკალური წლის ბოლოს გადასახდელების ათვისების მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით, რაც ქმნის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლები მეტ-ნაკლები შემცირების ტენდენციით გამოირჩეოდა, 2021 წლის დეკემბერში გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებლის 366.2% შეადგინა. 2021 წლის დეკემბერში გადასახდელების მკვეთრი ზრდა დაკავშირებულია წლის განმავლობაში გადასახდელების ათვისების ჩამორჩენასთან კვარტალურ გეგმებთან მიმართებით და რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წინასწარი ანგარიშსწორების სახით (ავანსად) გაცემულ თანხებთან (10,820.6 ათასი ლარი). საყურადღებოა, რომ ფისკალური წლის დასასრულს ზრდა შეიმჩნევა გადასახდელების ყველა კომპონენტში.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, საბიუჯეტო რესურსის მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვისთვის, მიზანშეწონილია როგორც საბიუჯეტო დაწესებულებების, ისე მათი მაკოორდინირებელი უწყებების მხრიდან, გარემოებათა საფუძვლიანი შესწავლისა და ფაქტებზე შესაბამისი რეაგირებით, უზრუნველყოფილ იქნეს ასიგნებების დროული და თანაბარზომიერი ათვისება.

ქ) 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მთლიანი მოცულობის 75.8% (248,943.9 ათასი ლარი) ხარჯებმა შეადგინა, რაც ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული მაჩვენებლის 83.0%-ია. ხარჯების საკასო შესრულება 50,869.2 ათასი ლარით ჩამორჩება გეგმურ მაჩვენებელს. ხარჯების ათვისების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად დაკავშირებულია „გრანტების“ მუხლთან, სადაც აუთვისებელი დარჩა 34,733.4 ათასი ლარი, მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებიდან აუთვისებელი დარჩა 34,646.3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების ანალიზით ირკვევა, რომ ბიუჯეტის აუთვისებლობა ხშირად დაკავშირებულია ტენდერებიდან და ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შედეგად წარმოქმნილ ეკონომიებთან, რაც მათ შორის განპირობებულია იმით, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ბაზრის სათანადო კვლევის გარეშე განისაზღვრება. გარდა ამისა, დაგეგმილი რიგი სახელმწიფო შესყიდვები არ განხორციელდა ან განხორციელდა არაჯეროვნად, ან/და მიმწოდებლები არ ასრულებენ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. ასევე ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებები დასრულებულია, თუმცა 2021 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან არ დაფინანსდა.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია ეფექტიანი მონიტორინგი განხორციელდეს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადაცემული კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების დროულად ათვისების მიზნით, გამოკვლეულ იქნეს ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზები და გატარდეს ქმედითი ღონისძიებები.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლების შესრულება

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობები – 326,474.0 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები 328,474.0 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ნაშთის ცვლილების წლიური გეგმა 2,000.0 ათას ლარს შეადგენდა.

2021 წლის ივნისში, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი – 392,937.2 ათას ლარამდე (20.4%-ით), გადასახდელების კი 414,221.9 ათას ლარამდე (26.1%-ით) გაიზარდა. შესაბამისად, ნაშთის ცვლილების წლიური გეგმა 21,284.7 ათასი ლარით განისაზღვრა.

ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის აგრეგატული მაჩვენებლების შესრულება (ათასი ლარი)


დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის კანონი - თავდაპირველი (1)	2021 წლის ბიუჯეტის კანონი - საბოლოო (2)	ცვლილება (2)-(1)	2021 წლის ფაქტი (3)	შესრულება (3)/(1) (%)	შესრულება (3)/(2) (%)
შემოსულობები	326,474.0	392,937.2	66,463.2	307,361.8	94.1%	78.2%
გადასახდელები	328,474.0	414,221.9	85,747.9	328,308.3	99.9%	79.3%
ნაშთის ცვლილება	2,000.0	21,284.7	19,284.7	20,946.5	1047.3%	98.4%

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრული შემოსულობებისა და გადასახდელების გეგმური მაჩვენებლები შესრულებულია, შესაბამისად, 94.1%-ით და 99.9%-ით, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებლები – 78.2%-ით და 79.3%-ით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, ბიუჯეტის შემოსულობების ოპტიმისტური პროგნოზით განსაზღვრული მაჩვენებელი ცვლილებების განხორციელების დროს კიდევ უფრო გაიზარდა, რაც შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივი მონაცემების საფუძვლიანი ანალიზისა და არსებული გამოწვევების სათანადო შეფასების გარეშე განსაზღვრაზე მიუთითებს.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი 20,946.5 ათასი ლარით შემცირდა და 724.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმური მაჩვენებლის 98.4%-ია.

დიაგრამა 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა წლების მიხედვით (მლნ ლარი)



დიაგრამიდან ჩანს, რომ წლების განმავლობაში გამოუყენებელი რჩებოდა მნიშვნელოვანი ოდენობის თანხები, თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შემდგომ დაიწყო ნაშთის შემცირება, კერძოდ: წინა წელთან შედარებით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შემცირდა 5.4 მლნ ლარით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 55.6 მლნ ლარით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 18.1 მლნ ლარით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 12.8 მლნ ლარით, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 20.9 მლნ ლარით.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2021 წელს მიღებული შემოსავლების მოცულობამ 285,103.4 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის 93.8% შეადგინა, რაც 15 პროცენტული პუნქტით მეტია 2020 წლის მაჩვენებელზე.


ცხრილი 2. შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

შემოსავლების კომპონენტები	2021 წლის კანონი (1)	საკასო შესრულება (2)	გადახრა (2)-(1)	გეგმის შესრულება (2)/(1)
გადასახადები	290,000.0	273,404.1	-16,595.9	94.3%
სხვა შემოსავლები	13,937.2	11,699.3	-2,237.9	83.9%
სულ:	303,937.2	285,103.4	-18,833.8	93.8%

3.1 გადასახადები

შემოსავლების სტრუქტურაში უდიდესი წილი გადასახადებზე, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადზე მოდის და მთლიანი შემოსავლების 95.9%-ს შეადგენს. ხაზინის მონაცემებით, 2021 წელს მიღებული საშემოსავლო გადასახადის მოცულობამ 273,404.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 94.3%-ია და 15.2 პროცენტული პუნქტით მეტია 2020 წლის მაჩვენებელზე.

დიაგრამა 2. საშემოსავლო გადასახადი 2017-2021 წლებში (ათასი ლარი)



წარმოდგენილი დიაგრამიდან ჩანს, რომ ბოლო წლებში მზარდია საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა, თუმცა 2020 წელს ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შემოსავლების მოცულობაზე და 2020 წელი, 2019 წელთან შედარებით, მნიშვნელოვანი კლებით აღინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს საშემოსავლო გადასახადის მოცულობა გაიზარდა, დაზუსტებული გეგმა 94.3%-ით შესრულდა (ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა დაზუსტებული გეგმით განსაზღვრულ პარამეტრზე 16,595.9 ათასი ლარით ნაკლები). აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური მოსალოდნელ რისკებზე მიუთითებდა 2021 წლის ბიუჯეტის პროექტზე წარდგენილ დასკვნაში, თუმცა რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული.

3.2 სხვა შემოსავლები

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით „სხვა შემოსავლების“ წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი 13,937.2 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო მობილიზებული სახსრების ოდენობამ 11,699.3 ათასი ლარი შეადგინა.

ცხრილი 3. სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

სხვა შემოსავლების კომპონენტები	2021 წლის კანონი (1)	2021 წლის ფაქტი (2)	გადახრა (2)-(1)	შესრულება % (2)/(1)
შემოსავლები საკუთრებიდან	10,767.0	6,514.8	-4,252.2	60.5%
პროცენტები	5,000.0	3,638.8	-1,361.2	72.8%
დივიდენდები	3,000.0	1,479.8	-1,520.2	49.3%
რენტა	2,767.0	1,396.1	-1,370.9	50.5%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	690.0	581.3	-108.7	84.2%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	100.0	5.4	-94.6	5.4%
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	2,380.2	4,597.8	2,217.6	193.2%
სულ სხვა შემოსავლები:	13,937.2	11,699.3	-2,237.9	83.9%

ცხრილიდან ჩანს, რომ „სხვა შემოსავლების“ დაზუსტებული გეგმის შესრულების მაჩვენებელი 83.9%-ს შეადგენს. შეუსრულებელია „სხვა შემოსავლების“ ყველა კომპონენტი, გარდა „ტრანსფერების, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“, რომლის შესრულების მაჩვენებელი 193.2%-ს შეადგენს. მოპოვებული ინფორმაციით, „ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ შედგება ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოების, წინა წელს გამოუყენებული და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლებისაგან. მართალია, ამ ტიპის შემოსავლების ზუსტად განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია, თუმცა ასეთი მოცულობის გადახრის არსებობა მიუთითებს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვისას სათანადოდ არ ხდება წინა წლებში ფაქტობრივად მიღებული თანხებისა და არსებული გამოწვევების გაანალიზება და საბიუჯეტო პარამეტრების შესაბამისად განსაზღვრა.

მთავრობის წარმოდგენილი ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას „სხვა შემოსავლების“ ცალკეული კომპონენტის შეუსრულებლობის მიზეზებზე. მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ „პროცენტების“ კომპონენტის შეუსრულებლობა დაკავშირებულია თავისუფალი ფულადი სახსრების მოცულობის შემცირებასთან, ხოლო „რენტის“ კომპონენტის შეუსრულებლობა – მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავლების შემცირებასთან. აღნიშნულის მიზეზია გარემოება, მათ შორის, ახალი კორონავირუსის


(COVID-19) პანდემიის გამო მოიჯარეების 2021 წლის 2 თვის საიჯარო ქირისგან გათავისუფლება, ასევე პანდემიიდან გამომდინარე, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლების შემცირება.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია გაკეთდეს გასულ წლებში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივად მიღებული თანხების საფუძვლიანი ანალიზი და სისტემურობისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, განისაზღვროს დასაგეგმი წლის საბიუჯეტო პარამეტრები.

3.2.1 დივიდენდები


2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მისაღები დივიდენდების წლიური გეგმა 3,000.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო საკასო შესრულებამ 1,479.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 49.3%-ია და 739.9 ათასი ლარით მეტია 2020 წლის მაჩვენებელზე.

დიაგრამა 3. 2017-2021 წლების დივიდენდების დინამიკა (ათასი ლარი)



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 31 საწარმოდან, 2021 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს (შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ – 1,330.7 ათასი ლარი, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ – 121.3 ათასი ლარი, შპს „აჭარის ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი“ – 27.9 ათასი ლარი). აღნიშნული საწარმოები, წინა წლებშიც, დივიდენდის საბიუჯეტო გეგმის შესრულებაში ძირითად როლს ასრულებდნენ.

დიაგრამა 4. დივიდენდების შესრულების მონაცემები საწარმოების მიხედვით (ათასი ლარი)



მოწოდებული ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ 8 საწარმოში მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება, ხოლო 1 (ერთი) საწარმო ლიკვიდაციის რეჟიმშია. ამასთანავე, მოქმედია 22 საწარმო, რომელთაგან 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილი აქვს 12 საწარმოს. აღნიშნული ანგარიშგებების შესაბამისად, საწარმოთა 2020 წლის შემოსავალი საერთო ჯამში 11,748.3 ათას ლარს შეადგენს, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, დივიდენდი ბიუჯეტში გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები ნაწილობრივ იქნა შესრულებული. კერძოდ, განახლდა ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა საწარმოს (ფუნქციონირებადი თუ არაფუნქციონირებადი) ინფორმაცია; დაიწყო მუშაობა საწარმოების კუთვნილი აქტივების მოძიებისა და აღრიცხვის მიმართულებით, ფუნქციონირებადი საწარმოების ნაწილში შეიცვალა წესდებები, ასევე დაინერგა გადარიცხვის ორდონიანი ავტორიზაცია, თუმცა კვლავ ვერ მოხერხდა საწარმოთა ბალანსზე რიცხული 29 მლნ ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი აქტივების საკუთრებაში რეგისტრირება და ასევე არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი აქტივების სრული აღრიცხვა და დაცულობა, რაც წარმოშობს მათი შესაძლო უკანონო გასხვისების რისკებს; არ მიმდინარეობს საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებების საფუძვლიანი განხილვა-შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, ბიზნესგეგმების დამტკიცება და ა.შ., რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საწარმოების არაეფექტიან მენეჯმენტს და, შესაბამისად, უარყოფით ფინანსურ შედეგებს.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, კონტროლის განმახორციელებელი სამინისტროების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს არამომგებიან

საწარმოებზე, გამოკვლეულ იქნეს მიზეზები და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის, შემოსავლების ახალი წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მიზანშეწონილია, მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს სამოქმედო გეგმა არამომგებიანი საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით.

4. არაფინანსური აქტივების კლება

რესპუბლიკურ ბიუჯეტში 2021 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა თანხებმა 22,251.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 25%-ია და 12,201.7 ათასი ლარით მეტია 2020 წლის მაჩვენებელზე.

ცხრილი 4. არაფინანსური აქტივების კლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

არაფინანსური აქტივების კლება	2021 წლის ბიუჯეტის კანონი - თავდაპირველი (1)	2021 წლის ბიუჯეტის კანონი - საბოლოო (2)	2021 წლის ფაქტი (3)	გადახრა (3)-(2)	გადახრა (3)-(1)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(1)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(2)
ძირითადი აქტივები	8,000.0	8,000.0	11,022.3	3,022.3	3,022.3	137.8%	137.8%
მატერიალური მარაგები	-	-	360.4	360.4	360.4		
არაწარმოებული აქტივები	19,000.0	81,000.0	10,868.7	-70,131.3	(8,131.3)	57.2%	13.4%
ჯამი:	27,000.0	89,000.0	22,251.5	-66,748.5	-4,748.5	82.4%	25%

ცხრილიდან ჩანს, რომ „არაფინანსური აქტივების კლების“ დაზუსტებული ბიუჯეტი შესრულებულია 25.0%-ით (დაზუსტებულ გეგმას ჩამორჩება 66,748.5 ათასი ლარით), თუმცა თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით შესრულების მაჩვენებელი გაცილებით მაღალია და 82.4%-ს შეადგენს (4,748.5 ათასი ლარით ჩამორჩება გეგმურ პარამეტრს). აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო გეგმის მოცულობითი შეუსრულებლობა დაკავშირებულია 2021 წლის ივნისში რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებებთან,¹ რომელთა შედეგად არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მისაღები შემოსულობის საპროგნოზო მაჩვენებელი 19,000.0 ათასი ლარიდან გაიზარდა 81,000.0 ათას ლარამდე. ზემოაღნიშნული ბიუჯეტის

¹ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, N37-რს, 02/06/2021.

დაგეგმვის არსებით ნაკლოვანებებზე მიუთითებს, რაც, მათ შორის, საპრივატიზებო გეგმის არარსებობის შედეგია.

მთავრობის ანგარიშში ბიუჯეტის თავდაპირველ საპროგნოზო მაჩვენებლებსა და საკასო შესრულებას შორის არსებულ გადახრებთან დაკავშირებით განმარტებულია, რომ 2021 წელს ვერ მოხერხდა დაგეგმილი მსხვილი ობიექტების პრივატიზება; ასევე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით გამოცხადებული პანდემიის ფონზე, მოსალოდნელი მძიმე ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ ბიზნესსუბიექტებისათვის ხელშეწყობის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 31 ივლისის N7 დადგენილებით გათვალისწინებულ იქნა შეღავათები. კერძოდ, ინვესტორებს საპრივატიზებო თანხების გადასახდელად მიეცათ დამატებითი ვადები. მთავრობის ანგარიშში წარმოდგენილი მოსაზრება დაუსაბუთებელია, რადგან ინვესტორებს გადახდის ვადა გაუგრძელდათ 2021 წლის 1 დეკემბრამდე. შესაბამისად, აღნიშნული გავლენას ვერ იქონიებდა 2021 წლის წლიურ შემოსულობებზე.

2021 წელს მატერიალური მარაგების რეალიზაციის შედეგად ბიუჯეტში მობილიზებულია 360.4 ათასი ლარი, რაც 143.8 ათასი ლარით მეტია 2020 წლის მაჩვენებელზე. აღნიშნული შემოსულობა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში, თანაგადახდის პრინციპით გადახდილი თანხები.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიისგან გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური ეფექტების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა რეალისტურად იქნეს განსაზღვრული, ასევე უზრუნველყოფილ იქნეს პრივატიზაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელება, მათ შორის, არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით და ახალი რესურსების მოძიების გზით.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2021 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობამ 328,308.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 79.3%-ია და 12.6%-ით მეტია 2020 წლის მაჩვენებელზე.

ცხრილი 5. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის კანონი - თავდაპირველი (1)	2021 წლის ბიუჯეტის კანონი - საბოლოო (2)	2021 წლის ფაქტი (3)	გადახრა (2)-(3)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(1)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(2)
ხარჯები	226,603.0	299,813.1	248,943.9	50,869.2	109.9%	83.0%
შრომის ანაზღაურება	38,528.7	37,656.5	37,164.5	492.0	96.5%	98.7%
საქონელი და მომსახურება	42,663.4	51,454.0	46,399.0	5,055.0	108.8%	90.2%
პროცენტი	1,020.2	752.0	681.7	70.3	66.8%	90.7%
სუბსიდიები	9,708.9	11,904.7	8,354.2	3,550.5	86.0%	70.2%
გრანტები	82,927.9	142,570.1	107,836.7	34,733.4	130.0%	75.6%
სოციალური უზრუნველყოფა	17,449.6	22,525.1	22,286.2	238.8	127.7%	98.9%
სხვა ხარჯები	34,304.3	32,950.7	26,221.5	6,729.2	76.4%	79.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	98,341.4	110,618.3	75,860.1	34,758.1	77.1%	68.6%
ვალდებულებების კლება	3,529.6	3,790.5	3,504.3	286.2	99.3%	92.5%
გადასახდელები სულ:	328,474.0	414,221.9	328,308.3	85,913.5	99.9%	79.3%

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში მუდმივად აღინიშნება ფისკალური წლის ბოლოს გადასახდელების ათვისების მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით, რაც ქმნის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლები მეტ-ნაკლები შემცირების ტენდენციით გამოირჩეოდა, 2021 წლის დეკემბერში გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებლის 366.2% შეადგინა, მათ შორის, „გრანტებში“ – 514.4%, ხოლო „სხვა ხარჯებში“ – 931.9%.

მოპოვებული ინფორმაციით, „გრანტების“ მუხლით გაწეული გადასახდელების ზრდა დაკავშირებულია 2021 წლის დეკემბერში ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებების მოცულობის ზრდასთან. კერძოდ, მუნიციპალიტეტები ახორციელებენ სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლებშიც გადახდის ვალდებულება დადგა 2021 წლის დეკემბერში. მუნიციპალიტეტების მიერ ასიგნებების არათანაბარზომიერი ათვისება პროგრამების/ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში არსებული სისტემური ხარვეზების შედეგია, მათ შორის, შესყიდვის პროცედურების დაგვიანებით დაწყება, მშენებლობის განხორციელების პერიოდის კლიმატურ პირობებთან მისადაგება, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები და სხვ.

„სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა 2021 წლის 11 თვეში 14,195.5 ათასი ლარი, ხოლო 2021 წლის დეკემბერში 12,026.0 ათასი ლარი შეადგინა. დეკემბერში გაწეული „სხვა ხარჯების“ 85.5% (10,283.0 ათასი ლარი) მოდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებაზე. მაგალითად, შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“ ახორციელებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს. შესაბამისი შესყიდვების ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ძირითადი ნაწილის გადახდის ვალდებულება ორგანიზაციას წარმოექმნა 2021 წლის დეკემბერში, რაც სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

ცხრილი 6. გადასახდელების შესრულება დეკემბერში (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის ფაქტი (1)	2021 წლის 11 თვის ფაქტი (2)	2021 წლის დეკემბრის ფაქტი (3)	2021 წლის 11 თვეში საშუალო ათვისება (4)	2021 წლის დეკემბრის მარცვლების ფარდობა 11 თვის საშუალო მარცვლებთან (%) (3)/(4)
ხარჯები	248,943.9	187,081.4	61,862.5	17,007.4	363.7%
შრომის ანაზღაურება	37,164.5	33,228.8	3,935.8	3,020.8	130.3%
საქონელი და მომსახურება	46,399.0	39,085.4	7,313.6	3,553.2	205.8%
პროცენტი	681.7	565.1	116.6	51.4	227.1%
სუბსიდიები	8,354.2	6,627.1	1,727.2	602.5	286.7%
გრანტები	107,836.7	73,476.3	34,360.4	6,679.7	514.4%
სოციალური უზრუნველყოფა	22,286.2	19,903.3	2,382.9	1,809.4	131.7%
სხვა ხარჯები	26,221.5	14,195.5	12,026.0	1,290.5	931.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	75,860.1	56,494.3	19,365.8	5,135.8	377.1%
ვალდებულებების კლება	3,504.3	2,727.0	777.4	247.9	313.6%
სულ გადასახდელები:	328,308.3	246,302.6	82,005.7	22,391.1	366.2%

2021 წლის დეკემბერში გადასახდელების მკვეთრი ზრდა დაკავშირებულია წლის განმავლობაში გადასახდელების ათვისების ჩამორჩენასთან კვარტალურ გეგმებთან მიმართებით და რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წინასწარი ანგარიშსწორების სახით (ავანსად) გაცემულ თანხებთან (10,820.6 ათასი ლარი).² საყურადღებოა, რომ ფისკალური წლის დასასრულს ზრდა შეიმჩნევა გადასახდელების ყველა კომპონენტში.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, საბიუჯეტო რესურსის მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვისთვის, მიზანშეწონილია როგორც საბიუჯეტო დაწესებულებების, ისე მათი მაკოორდინირებელი უწყებების მხრიდან, გარემოებათა საფუძვლიანი შესწავლისა და

² ფაქტობრივად არ არის დამოწმებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფაქტებზე შესაბამისი რეაგირებით, უზრუნველყოფილ იქნეს ასიგნებების დროული და თანაბარზომიერი ათვისება.

5.1 ხარჯები

2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მთლიანი მოცულობის 75.8% (248,943.9 ათასი ლარი) „ხარჯებმა“ შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მაჩვენებლის 83.0%-ია და 16.6%-ით მეტია 2020 წლის მაჩვენებელზე.

ცხრილი 7. ხარჯების გეგმის შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის კანონი (1)	2021 წლის ფაქტი (2)	გადახრა (1)-(2)	ბიუჯეტის შესრულება (2)/(1)
შრომის ანაზღაურება	37,656.5	37,164.5	492.0	98.7%
საქონელი და მომსახურება	51,454.0	46,399.0	5,055.0	90.2%
პროცენტი	752.0	681.7	70.313	90.7%
სუბსიდიები	11,904.7	8,354.2	3,550.5	70.2%
გრანტები	142,570.1	107,836.7	34,733.4	75.6%
სოციალური უზრუნველყოფა	22,525.1	22,286.2	238.8	98.9%
სხვა ხარჯები	32,950.7	26,221.5	6,729.2	79.6%
სულ ხარჯები:	299,813.1	248,943.9	50,869.2	83%

წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, რომ ხარჯების საკასო შესრულება 50,869.2 ათასი ლარით ჩამორჩება გეგმურ მაჩვენებელს. ხარჯების ათვისების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად დაკავშირებულია „გრანტების“ მუხლთან, სადაც აუთვისებელი დარჩა 34,733.4 ათასი ლარი. მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებიდან აუთვისებელი დარჩა 34,646.3 ათასი ლარი.

ცხრილი 8. მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარება (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის კანონი (1)	2021 წლის ფაქტი (2)	გადახრა (1)-(2)	შესრულება (2)/(1)
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება	108,757,880.0	78,520,926.5	30,236,953.6	72.2%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	61,959,000.0	42,780,549.4	19,178,450.6	69%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	21,373,400.0	16,060,575.7	5,312,824.3	75.1%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	7,225,440.0	5,054,794.3	2,170,645.8	70.0%
ქედის მუნიციპალიტეტი	5,671,300.0	4,777,813.9	893,486.1	84.2%
შუახევის მუნიციპალიტეტი	6,400,000.0	3,855,603.2	2,544,396.8	60.2%
ხულოს მუნიციპალიტეტი	6,128,740.0	5,991,590.1	137,149.9	97.8%

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	30,660,888.0	26,251,538.2	4,409,349.8	85.6%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	15,276,882.0	14,809,688.3	467,193.7	96.9%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	8,452,593.0	5,568,274.6	2,884,318.4	65.9%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1,556,946.0	1,209,413.1	347,532.9	77.7%
ქედის მუნიციპალიტეტი	1,074,682.0	982,301.5	92,380.5	91.4%
შუახევის მუნიციპალიტეტი	1,073,000.0	852,529.1	220,470.9	79.5%
ხულოს მუნიციპალიტეტი	3,226,785.0	2,829,331.6	397,453.4	87.7%

მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების ანალიზით ირკვევა, რომ ბიუჯეტის აუთვისებლობა დაკავშირებულია შემდეგ გარემოებებთან: ტენდერებიდან და ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიები, რაც რიგ შემთხვევაში განპირობებულია იმით, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ბაზრის სათანადო კვლევის გარეშე განსაზღვრული; დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები არ ხორციელდება, ან ხორციელდება არაჯეროვნად ან/და მიმწოდებლები არ ასრულებენ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. აუთვისებლობის ერთ-ერთი მიზეზია ასევე ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დასრულების მიუხედავად, 2021 წლის ბიუჯეტიდან მისი დაუფინანსებლობა.

ცხრილი 9. ინფორმაცია აუთვისებული თანხების შესახებ (ათასი ლარი)

მუნიციპალიტეტი	სულ აუთვისებული თანხა	მათ შორის			
		შესყიდვებით და სამუშაოების შესრულებით მიღებული ეკონომია	შესყიდვა არ განხორციელდა	ფინანსური რესურსის სიმცირის გამო არ დაფინანსდა	2021 წელს დაუსრულებელი სამუშაოები
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	19,645.6	5,399.1	4,585.5	-	9,661.0
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	8,197.1	2,726.9	-	3,427.6	2,042.6
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	2,518.2	610.9	500.0	956.9	450.4
ქედის მუნიციპალიტეტი	985.9	367.8	304.8	100.0	213.2
შუახევის მუნიციპალიტეტი	2,764.9	1,030.7	-	-	1,734.2
ხულოს მუნიციპალიტეტი	534.6	157.5	300.0	-	77.1
ჯამი:	34,646.3	10,292.9	5,690.3	4,484.6	14,178.5

მოპოვებული ინფორმაციით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ რიგ შემთხვევებში არ მიმდინარეობს საჭიროებების ეფექტიანი კვლევა და არ ტარდება შესაბამისი ღონისძიებები, რაც იწვევს ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული

ლონისძიებების შეუსრულებლობას და ქმნის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების აუთვისებლობის პრობლემას, კერძოდ:

ცხრილი 10. ინფორმაცია რიგი პროექტების შესახებ (ათასი ლარი)

პროექტის დასახელება	გამოყოფილი თანხა	საკასო შესრულება	გადახრა	ბიუჯეტის შესრულება	შენიშვნა
ქ. ბათუმში, ჩაქვის დასახლებაში სარეკრეაციო სივრცის და მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურის მოწყობა	1,500		1,500	0%	ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შესრულებულ სამუშაოებზე დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა, რის გამოც ასიგნება ვერ იქნა ათვისებული.
ქ. ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის N82-ში მდებარე სოციალური სახლების (4 ერთეული სახლი) მშენებლობა	1,000	-	1,000	0%	სადემონტაჟო შენობაში განთავსებული იყო კერძო კომპანიის ქონება. ქონების შენობიდან გატანასთან დაკავშირებით, წარმოიშვა დავა, რომლის გადაწყვეტას დასჭირდა დრო.
ქ. ბათუმში, კობალაძის ქუჩის რეაბილიტაციის და დავით აღმაშენებლის ქუჩაზე უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა	950		950	0%	ორჯერ გამოცხადდა ტენდერი, რომელიც არ შედგა.
ქ. ბათუმში, გაგარინის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის კეთილმოწყობა	755.1		755.1	0%	სამანქანო გზით სარგებლობს სხვადასხვა კომერციული ობიექტი. მათი მოთხოვნით, სამშენებლო სამუშაოები არაერთხელ იქნა შეჩერებული.
ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას ცენტრის კეთილმოწყობა	227.3	129.8	97.5	57.1%	ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მიმწოდებელმა ვერ განახორციელა სამუშაოები
ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში საბავშვო ბაღის მშენებლობა	200	0	200.0	0%	გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში სამუშაოები არ შესრულდა.
ქალაქ ქობულეთში N1 საბავშვო ბაღის მშენებლობა	679,8	457.5	222.3	67.2%	გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში სამუშაოები არ შესრულდა.
ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია	294.8	188.7	106.1	64%	პროექტში არსებული ხარვეზების გამო, რეაბილიტაცია სახელშეკრულებო ვადებში არ განხორციელდა.
ქედის მუნიციპალიტეტის მთების ელექტროფიკაცია	100	0	100	0%	პროექტში არსებული ხარვეზების გამო, მთების ელექტროფიკაცია სახელშეკრულებო ვადებში არ განხორციელდა.
ქედის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების შემოღობვა	100	0	100	0%	ფინანსური რესურსის სიმცირის გამო, შესრულებული სამუშაოები არ დაფინანსდა.
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 2 სოციალური სახლის მშენებლობა	500	0	500	0%	შესაბამის ვადებში ვერ იქნა შერჩეული სოციალური სახლის ბენეფიციარები.
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტით უზრუნველყოფა	520	234.3	285.7	45%	ბენეფიციართა რაოდენობის სიმცირის გამო, ასიგნება ვერ იქნა ათვისებული.
ხულოს მუნიციპალური დარბაზის რეკონსტრუქცია-რემონტის სამუშაოები	300	0	300	0%	პროექტში არსებული ხარვეზების გამო, რეკონსტრუქცია-რემონტის სამუშაოები სახელშეკრულებო ვადებში არ განხორციელდა.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია ეფექტიანი მონიტორინგი განხორციელდეს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადაცემული კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების დროულად ათვისების მიზნით, გამოკვლეულ იქნეს ბიუჯეტის შეუსრულებლობის მიზეზები და გატარდეს ქმედითი ღონისძიებები.

5.1.1 შრომის ანაზღაურება

2021 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საჯარო მოსამსახურეთა ხელფასზე სულ გაიხარჯა 49,677.8 ათასი ლარის ხარჯი. მათ შორის, „შრომის ანაზღაურებამ“ შეადგინა 37,164.5 ათასი ლარი (157.1 ათასი ლარით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს), ხოლო „მტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ“³ – 12,513.3 ათასი ლარი (1,054.8 ათასი ლარით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს). შრომის ანაზღაურების მთლიანი სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი 11. შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	ზრდა/კლება	ზრდა/კლება %
შრომის ანაზღაურება	37,007.5	37,164.5	157.1	0.4%
თანამდებობრივი სარგო	36,749.0	36,113.2	-635.8	-1.7%
ჯილდო/პრემია	34.5	888.1	853.6	2477.2%
დანამატი	224.1	163.2	-60.8	-27.1%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	11,458.5	12,513.3	1,054.8	9.2%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგო	11,453.3	12,346.8	893.5	7.8%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ჯილდო/პრემია	-	166.5	166.5	
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დანამატი	5.2	-	-5.2	-100%
სულ ხელფასი:	48,466.0	49,677.8	1,211.8	2.5%

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2021 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საჯარო სექტორში მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ჯამური ხარჯი 1,211.8 ათასი ლარით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს.

³ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება.

5.2 არაფინანსური აქტივების ზრდა

2021 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გადახდამ 75,860.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული მაჩვენებლის 68.6%-ია (დაზუსტებულ გეგმაზე 34,758.1 ათასი ლარით ნაკლები) და 474.6 ათასი ლარით მეტია 2020 წლის მაჩვენებელზე.

დაზუსტებული გეგმის შეუსრულებლობის გამო, 2021 წელს არ განხორციელდა რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები, მაგალითად:

ქვეპროგრამის – „აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტების განვითარება“, 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,219.9 ათას ლარს. ქვეპროგრამის საკასო ხარჯი არ გაწეულა. ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ორი ღონისძიების განხორციელებას: „კურორტ ბეშუმისა და მიმდებარე ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება“, ღირებულებით – 250 ათასი ლარი და „გომარდულის სარეკრეაციო ადგილის ინფრასტრუქტურის განვითარების“ სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით – 969.9 ათასი ლარი. აღნიშნულ შემთხვევებში, დაგეგმილი შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპების არასათანადოდ განხორციელებამ, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმილ ვადებში შეუსრულებლობა და, შესაბამისად, საბიუჯეტო ასიგნების აუთვისებლობა განაპირობა.

მოპოვებული დოკუმენტაციით, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი პროგრამებისა და შესყიდვების დაგეგმვა-განხორციელების საქმეში არსებული ხარვეზებია. მაგალითად:

- „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამაში აუთვისებელი დარჩა 17,170.4 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი. შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით, სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადად განსაზღვრული იყო არაუგვიანეს 2021 წლის 10 დეკემბერი. მიმწოდებელმა განსაზღვრულ ვადაში ვერ შეძლო სამშენებლო სამუშაოების დასრულება, შედეგად აუთვისებელი დარჩა მოცულობითი საბიუჯეტო რესურსი. აღსანიშნავია, რომ შესაბამის ხელშეკრულებაში 2022 წლის 13 აპრილს შესული ცვლილებებით სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდა 2022 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით;

- „გზების რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 4,644.3 ათასი ლარი, რაც ძირითადად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შესაბამისი ტენდერების განუხორციელებლობამ განაპირობა. კერძოდ: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჭოროხის გზაზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე და შუახევის მუნიციპალიტეტში სოფელ კარაპეტის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერები დასრულდა უარყოფითი შედეგებით. ამასთანავე, კონტრაქტორმა კომპანიებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები დაგვიანებით შეასრულეს, რის გამოც ვერ მოხერხდა დადგენილ ვადებში ანაზღაურება;
- „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 2,081.3 ათასი ლარი, რაც განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში ფაქტობრივად მიწოდებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულებით, ასევე მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებების შეწყვეტით.

პროგრამების შედგენა-შესრულებასთან დაკავშირებით არსებული ნაკლოვანებები ასახულია რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წინა წლის მოხსენებასა და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშებში და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, თუმცა საბიუჯეტო ორგანიზაციებს არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები, რამაც პროგრამების არაჯეროვანი შესრულება განაპირობა.

6. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, 2021 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების გეგმის შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს (98.7%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (72.7%).

ცხრილი 12. გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის კანონი (1)	2021 წლის ფაქტი (2)	გადახრა (1)-(2)	შესრულება (2)/(1)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	5,216.8	4,717.3	499.5	90.4%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	701.0	690.4	10.6	98.5%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	3,017.9	2,977.8	40.1	98.7%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	120,457.1	87,545.4	32,911.8	72.7%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	63,969.7	56,430.1	7,539.6	88.2%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	31,417.6	29,833.8	1,583.8	95.0%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	18,972.9	16,786.0	2,186.8	88.5%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	170,468.9	129,327.6	41,141.2	75.9%
ჯამი:	414,221.9	328,308.3	85,913.5	79.3%

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2021 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან აუთვისებელმა თანხამ შეადგინა 85,913.5 ათასი ლარი, საიდანაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წილი 32,911.8 ლარს შეადგენს, რაც ძირითადად გამოწვეულია შემდეგით:

„სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამაში აუთვისებელი დარჩა 17,170.4 ათასი ლარი. შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით⁴ სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადად განსაზღვრული იყო არაუგვიანეს 2021 წლის 10 დეკემბერი. მიმწოდებელმა განსაზღვრულ ვადაში ვერ შეძლო სამშენებლო სამუშაოების დასრულება, შედეგად, აუთვისებელი დარჩა მოცულობითი საბიუჯეტო რესურსი.

„გზების რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამაში დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 26,122.8 ათას ლარს, ხოლო შესრულებამ შეადგინა 21,478.5 ათას ლარი. შესაბამისად, ქვეპროგრამაში

⁴ ხელშეკრულება N15, 13/02/2020 (NAT190025735).

აუთვისებელი დარჩა 4,644.3 ათასი ლარი. საბიუჯეტო რესურსის აუთვისებლობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

- ქობულეთის სამრეწველო ზონის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა განხორციელდა 2021 წლის ბოლოს, რის გამოც ობიექტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა 2021 წელს არ მოესწრო;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ჭოროხის გზაზე ნაპირსამაგრი ნაგებობით ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით;
- შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ კარაპეტის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ორჯერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით;
- გარდა ამისა, მიმწოდებელი კომპანიების ნაწილმა ვერ შეძლო ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში სამუშაოების დასრულება, ასევე ღონისძიებების ნაწილში, შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზისა და ხარისხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაგვიანებით წარმოდგენის გამო, ვერ განხორციელდა ანაზღაურება.

„საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამაში დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 17,285.0 ათას ლარს, ხოლო შესრულებამ შეადგინა 13,837.4 ათას ლარი. შესაბამისად, ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 3,447.6 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში, მონოლითური ბეტონის შესყიდვასთან დაკავშირებით, კომპანიებმა დროულად არ წარმოადგინეს ლაბორატორიული დასკვნები, რამაც შეაფერხა ანგარიშსწორების პროცედურები, ხოლო ერთ-ერთი კომპანიის მიერ ვერ მოხერხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მზა ბეტონის სრულად მიწოდება, რის გამოც შეწყდა ხელშეკრულება. გარდა ამისა, ქობულეთის, ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში მონოლითური ბეტონის შესყიდვაზე რამდენჯერმე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელებში აუთვისებელი დარჩა 41,141.2 ათასი ლარი, საიდანაც 34,646.3 ათასი ლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მიერ აუთვისებელი ფინანსური დახმარებაა.⁵

⁵ იხ. „5.1 ხარჯები“.

7. ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და მათი შეფასების ინდიკატორების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესდა პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. რიგ პროგრამებს/ქვეპროგრამებს დაბალი ათვისების მაჩვენებელი გააჩნიათ. ჯამურად, დაზუსტებული გეგმის 30%-ზე ნაკლები ათვისების მაჩვენებელი გააჩნია 7 პროგრამას/ქვეპროგრამას.

ცხრილი 13. რიგ პროგრამის/ქვეპროგრამის შესრულება (ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2021 წლის კანონი (1)	2021 წლის ფაქტი (2)	გადახრა (1)-(2)	შესრულება (2)/(1)
04 01 03 03	აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება	1,219.9	0	1,219.9	0%
05 14 08	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	175	29.8	145.2	17.1%
05 18 02 02	გართობა და შემეცნება	323.1	71.8	251.3	22.2%
05 18 03 01	კონფერენციები და ფორუმები	136.3	34.0	102.3	24.9%
05 18 04 01	კარიერული განვითარების ხელშეწყობა	187	20.9	166.1	11.2%
06 10 02	საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა	50	0	50	0%
09 13	ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების რაოდენობრივი განსაზღვრა და ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის ხელშეწყობა	160.2	0	160.2	0%
ჯამი:		2,251.5	156.5	2,095.0	7%

ზემოაღნიშნული 7 პროგრამიდან/ქვეპროგრამიდან ათვისებული დარჩა 2,095.0 ათასი ლარი, საიდანაც დიდი წილი ქვემოთ ჩამოთვლილ პროექტებზე მოდის:

- ქვეპროგრამის – „აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტების განვითარება“, 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,219.9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში საკასო ხარჯი არ გაწეულა. ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ორი ღონისძიების განხორციელებას: „კურორტ ბეშუმისა და მიმდებარე ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება“, ღირებულებით – 250 ათასი ლარი და „გომარდულის სარეკრეაციო ადგილის ინფრასტრუქტურის განვითარების“ სამუშაოების შესყიდვა, ღირებულებით – 969.9 ათასი ლარი. აღნიშნულ შემთხვევებში, დაგეგმილი შესყიდვების მოსამზადებელი ეტაპების არასათანადოდ განხორციელებამ,

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმილ ვადებში შეუსრულებლობა და, შესაბამისად, საბიუჯეტო ასიგნების აუთვისებლობა განაპირობა;

- ქვეპროგრამის – „გართობა და შემეცნება“, საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 323.1 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯმა 71.8 ათას ლარი შეადგინა. ქვეპროგრამით დაგეგმილი 5 ღონისძიებიდან პანდემიის გამო განხორციელდა მხოლოდ ორი. დადგენილი რეგულაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ერთი ღონისძიების ტენდერი სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა, ორ ღონისძიებაზე კი, ტენდერი არ გამოცხადდა;
- ქვეპროგრამის – „კარიერული განვითარების ხელშეწყობა“, ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა 187 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო საკასო ხარჯმა 20.9 ათასი ლარი შეადგინა (გეგმის 11.2%). ქვეპროგრამის შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გამოწვეულია იმით, რომ ღონისძიება – „საერთაშორისო საზაფხულო სკოლა“ ვერ განხორციელდა. ღონისძიების ფარგლებში იგეგმებოდა 15-მდე ახალგაზრდის შერჩევა და გაგზავნა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის საზაფხულო საგანმანათლებლო დაწესებულებაში. შესაბამის პერიოდში ქვეყანაში არსებულმა ეპიდემიურმა სიტუაციამ გაართულა საზღვრის კვეთის პროცედურები, რის გამოც ახალგაზრდების გაგზავნა ვერ მოხერხდა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ პროგრამების შემუშავება განხორციელდეს მიზანშეწონილობის სათანადო შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, ხოლო პროგრამის განხორციელებაში წარმოქმნილი შეზღუდვების შემთხვევაში, გამოკვლეულ იქნეს მიზეზები და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთანავე, გამოთავისუფლებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ახალი პროგრამების/ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.